ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N42

2014 წლის 6 ოქტომბერი

დ. ჩოხატაური

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 იანვრის N4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის 20-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ"- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N19 დადგენილების შესაბამისად ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის და მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ" - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 იანვრის N4 დადგენილებაში შეტანილ იქნას ცვლილება, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განსაზღვრის შესახებ".

მუხლი 2.

დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „საქართველოს ორგანული კანონის-„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", „ნორმატიული აქტების შესახებ"

საქართველოს კანონის 24-ე მუხლის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ,,ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების თაობაზე“ - საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 29 აგვისტოს N726 ბრძანებულების თანახმად“

მუხლი 3.

დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით.(თან ერთვის)

მუხლი 4.

დადგენილებიდან ამოღებული იქნას მე-3 მუხლი.

მუხლი 5.

დადგენილებიდან ამოღებული იქნას მე-5 მუხლი.

მუხლი 6.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2014 წლის 1 აგვისტოდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ზაალ მამალაძე

დანართი 1

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოს განაკვეთები

№	თანამდებობათა დასახელება	თანამდებობრივი სარგო
1	2	3
1	გამგებელი	2650
2	გამგებლის პირველი მოადგილე	1500
3	გამგებლის მოადგილე	1300
4	სამსახურის უფროსი	1000
5	განყოფილების უფროსი	810
5	გამგებლის თანაშემწე	790
6	გამგებლის წარმომადგენელი	810
7	სპეციალისტი	560
8	მდივან- რეფერენტი	560